

# ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „მეტი ქალი პოლიტიკაში“

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 599480626

26/12/2016

N 655

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ხელაძეს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 21 დეკემბერს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია "მეტი ქალი პოლიტიკაში" სხდომა.

დანართი: სხდომის ოქმი №6– 10(ათი) ფურცელი

პატივისცემით,  
ნონა მურვანიძე



თავმჯდომარე

ფრაქცია "ქალები პოლიტიკაში"

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
ფრაქცია „მეტი ქალი პოლიტიკაში“  
სხდომის ოქმი№6

ქ.ლანჩხუთი

21.12.2016 წელი

სხდომას ესწრებოდა: ფრაქცია „მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარე ნონა მურვანიძე.  
ფრაქციის წევრი: მოადგილე ელისო ჭიჭინაძე, მდივანი დარეჯან ბურჭულაძე.

**მოწვეული პირები:** გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი, საორგანიზაციო განყოფილებაში საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მთავარი სპეციალისტი მაია კუპატაძე.

**ფრაქციის თავმჯდომარემ ნონა მურვანიძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:**

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი ნონა მურვანიძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი ნონა მურვანიძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი ნონა მურვანიძე/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი ნონა მურვანიძე/

5. ფრაქცია „მეტიქალიპოლიტიკაში“ წევრის ომარ გოგიჩაიშვილის განცხადების განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი ნონა მურვანიძე/

## 6. სხვადასხვა

დეპუტატმა დარეჯან ბურჭულაძემ აღნიშნა, რომ უმჯობესი იქნებოდა დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-3-ე და მე-4-ე საკითხები თავდაპირველად განხილულიყო, რაც გათვალისწინებული იქნა ფრაქციის წევრების მიერ.

**ფრაქციის თავმჯდომარე ნონა მურვანიძემ კენჭი უყარა შეცვლილ დღის წესრიგის პროექტს.**

## მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი

**დღის წესრიგის პირველი საკითხი** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ. მან განმარტა, რომ ბოლო წლებში არსებული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართული სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რითაც თავის მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარება.

ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით 2017-2020 წწ-ში მუნიციპალიტეტის სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;
- განათლება;
- კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ აღნიშნა, რომ პრიორიტეტის დოკუმენტი ჯერ კიდევ დაუხვეწავია. მისი აზრით უნდა ხდებოდეს ძირითადი პრიორიტეტების გათვალისწინება და ხელშეწყობა, როგორცაა ბაღი, კულტურა საზოგადოებრივი ჯანდაცვა. მან აღნიშნა, რომ როცა ხდება ბაღის მშენებლობის დაწყება ის თავიდან ბოლომდე უნდა იყოს გათვლილი. ასევე აღნიშნა, რომ შუხუთის საბავშვო ბაღი იყო რამდენიმე სოფელზე გათვლილი, უნდა მომხდარიყო მისი ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა და შესაბამისად გამართული იქნებოდა მისი ფუნქციონირება. ასევე უნდა შეირჩეს პროექტი, რომელიც მნიშვნელოვანი იქნება მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის.

ფრაქციის თავმჯდომარემ ნონა მურვანიძემ აღნიშნა, რომ ვიდრე პრიორიტეტები გამოიკვეთება სამსახურების მიერ უნდა ხდებოდეს მთელი წლის განმავლობაში ანალიზი. ის დაინტერესდა თუ რომელი სამსახური აკეთებს აღნიშნულს, რაზეც როლანდ ლაშხიამ განმარტა, რომ მარტიდან იწყება ბიუჯეტის შედგენა, რომელშიც ჩართულია ყველა სამსახური. პროექტები შედეგზე ორიენტირებული უნდა იყოს.

ნონა მურვანიძემ აღნიშნა, რომ პირველივე წლიდან იყო დაინტერესებული ლანჩხუთს გააჩნდა თუ არა განვითარების სტრატეგიული გეგმა, მაგრამ როგორც გაარკვია არ ქონდა.

როლანდ ლაშხიამ აღნიშნა, რომ უნდა არსებობდეს 4 წლიანი სტრატეგიული გეგმა.

ფრაქციის თავმჯდომარემ ნონა მურვანიძემ აღნიშნა, რომ სტრატეგიული გეგმა უნდა იყოს სწორად დაწერილი ანალიზიდან გამომდინარე, რომ არ მოხდეს ლაფსუსების დაშვება პრიორიტეტების შერჩევაში.

გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ აღნიშნა, რომ როცა მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა იქნება შემუშავებული და დამტკიცებული, მასში ცვლილების განხორციელება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მსჯელობის დასაბუთების შემთხვევაში თუ რატომ დაკარგა შინაარსი პროექტმა.

დეპუტატმა დარეჯან ბურჭულაძემ აღნიშნა, რომ ყველა ახალი ხელისუფლება მის წინ არსებულ სკვერს ან იერსახეს უცვლის, ან ანგრევს და აშენებს, როცა ირგვლილ მილიონობით ინფრასტრუქტურული პროექტია განსახორციელებელი. როცა მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა იარსებებს ერთპიროვნულად ვერ მოახერხებს გადაწყვეტილების მიღებას ხელმძღვანელი.

ფრაქციის თავმჯდომარე ნონა მურვანიძე დაინტერესდა არის თუ არა სტრატეგიული გეგმის შესამუშავებლად თანხა გათვალისწინებული მომდევნო წლის ბიუჯეტში და თუ არ არის შევიდეს მასში ცვლილება და იქნას გათვალისწინებული.

როლანდ ლაშხიამ განმარტა, რომ არსებული სამსახურების მიერ გარკვეული მონახაზი უნდა კეთდებოდეს თანხის გამოყოფის გარეშე.

დეპუტატი დარეჯან ბურჭულაძე დაინტერესდა ბიუჯეტში გათვალისწინებული არის თუ არა ჯიხეთის პროექტი, რაზეც როლანდ ლაშხიამ განმარტა, რომ არ არის გათვალისწინებული.

ნონა მურვანიძემ აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხის გამო დეპუტატებმა სხდომა პროტესტის ნიშნად დატოვა, რადგან არ მოხდა მათ მიერ დამტკიცებული პროექტის გათვალისწინება 2017 წლის ბიუჯეტში.

ელისო ჭიჭინაძემ აღნიშნა, რომ ადგილობრივი ბიუჯეტიდან ეპარქიას 50 000 ლარი ერიცხება. ის დაინტერესდა თუ რამდენი პროცენტი ხმარდება ამ თანხიდან რაიონს და სად არის მიმართული, რაზეც როლანდ ლაშხიამ განმარტა, რომ არ ხდება აღნიშნულ თანხაზე კონტროლი, თუმცა შესაძლებელია ეპარქიიდან წერილების გამოთხოვა თუ რას მოხმარდა გამოყოფილი თანხა. სასულიერო გიმნაზიას 20 000 ლარი მიემართება ამ თანხიდან.

დეპუტატმა ელისო ჭიჭინაძემ აღნიშნა, რომ მას ბევრი კითხვები გააჩნია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. მისთვის გაუგებარია თუ რატომ ერიცხება თანხა სასულიერო გიმნაზიას, როცა ის ფასიანია. ასევე აღნიშნა, რომ ლესაში მდებარე ტაძარის მშენებლობაზე ერთი ლარიც არ გამოყოფილა ამ თანხიდან.

როლანდ ლაშხიამ აღნიშნა, რომ სახელმწიფოდან მიიღო რეკომენდაცია მუნიციპალიტეტმა შემცირებებთან დაკავშირებით, მისი თქმით ა(ა)იპ-ებში სტრუქტურა დასალაგებელია.

დეპუტატი დარეჯან ბურჭულაძე დაინტერესდა რამდენი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისთვის დაგეგმილი 2017 წელს, რაზეც როლანდ ლაშხიამ აღნიშნა, რომ ყველა ის პროექტი, რომელიც 2016 წელს დაიწყო დასრულდება 2017 წელს., მაგრამ მას ჯერ არა აქვს ახალი პროექტების შესახებ ინფორმაცია.

დეპუტატი ელისო ჭიჭინაძე დაინტერესდა მოხდება თუ არა წყლის სამუშაოების ჩატარება 2017 წელს, რომელიც ლესაში მიმდინარე წლის ნოემბრის თვეში უნდა დაწყებულიყო. ასევე მან განაცხადა, რომ იგეგმებოდა ხიდის მშენებლობაც, მაგრამ არჩევნების შემდეგ არც მასზეა საუბარი.

როლანდ ლაშხიამ აღნიშნა, რომ ლესაში ბადის მშენებლობა გაგრძელდება.

ნონა მურვანიძე დაინტერესდა სუფსა-გულიანის გზის საკითხითაც, რომელიც 2017 წლის მაისში უნდა დასრულებულიყო და 2017 წლის დეკემბრის თვემდე გაგრძელდა, რაც მას არასწორად მიაჩნია.

როლანდ ლაშხიამ აღნიშნა, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსების თანხა გათვალისწინებულია 2017 წლის ბიუჯეტში.

**ფრაქციამ მიიღო გადაწყვეტილება:**

**განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ არ იქნა მხარდაჭერილი.**

**დღის წესრიგის მეორე საკითხზე**, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ “ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტი წარმოდგენილია საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად, რომელიც მთლიანობაში აერთიანებს შემდეგ ქვეკატეგორიებს: შემოსავლების კლასიფიკაციას, ხარჯების ეკონომიკურ კლასიფიკაციას, ხარჯებისა და არაფინანსური აქტივებით ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციას, არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციას. ასევე ბიუჯეტი შედგენილია ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით, რაც ითვალისწინებს მხარჯავი დაწესებულებებისა და მათში შემავალი პროგრამების სტრუქტურას. ამასთან, ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული პროგრამების ფორმატი წარმოდგენილია პროგრამის მოსალოდნელი შედეგის და შეფასების კრიტერიუმების მიხედვით, რაც განაპირობებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შედეგზე ორიენტირებულობას. გარდა ამისა, ბიუჯეტის პროექტში წარმოდგენილია 2017-2020 წლების საპროგნოზო მაჩვენებლები.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 8286,6 ათ. ლარის ოდენობით. მ. შ:

✓ **გადასახადები - 1550.0 ათ. ლარი**

✓ -საშემოსავლო გადასახადი 550.0 ათ.ლარი

- ქონების გადასახადი - 1000.0 ათ. ლარი. მ.შ:

- საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) – 400.0 ათ. ლარი;

- ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადი - 10.0 ათ. ლარი;

- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე - 90.0 ათ. ლარი

- არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე -500.0 ათ. ლარი.

✓ **გრანტები - 5574,2 ათ. ლარი**

- გათანაბრებითი ტრანსფერი -5354.2 ათ. ლარი;

- მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად

-220.0 ათ. ლარი;

✓ **სხვა შემოსავლები - 1162.4 ათ. ლარი, მ. შ:**

- შემოსავალი საკუთრებიდან - 368.7 ათ. ლარი;

- საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია - 43.7 ათ. ლარი;
- ჯარიმები, სანქციები და საურავები - 750.0 ათ. ლარი;

წარმოდგენილი პროექტით არაფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს 293.3 ათ. ლარს, მ. შ:

- არაფინანსური აქტივების კლება - 460.0 ათ. ლარი.
- არაფინანსური აქტივების ზრდა - 166,7 ათ. ლარი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტით ვალდებულების კლება განსაზღვრულია 357,2 ათ. ლარი. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენს 8843,8 ათ ლარს, მ. შ: ხარჯები 8319,9 ათ. ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა 166,7 ვალდებულების კლება - 357,2 ათ. ლარი.

ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა განსაზღვრულია - 8843,8 ათ. ლარის ოდენობით.

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დაგვა-დასუფთავებასა და ნარჩენების გატანაზე, მუნიციპალიტეტში არსებული სვერების მოვლასა და გამწვანების სამუშაოების ჩატარებაზე, სასაფლაოების მოვლა პატრონობაზე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის მაწანწალა ძაღლებისგან გასუფთავებაზე მიიმართება 550,0 ათ. ლარი.

- გარე განათების გახარჯული ელექტროენერჯის ანაზღაურებაზე მიიმართება 170,0 ათ. ლარი, ამასთან გარე განათების მოვლა პატრონობის ხარჯზე მიიმართება 450,0 ათ. ათასი ლარი.

- საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმისა და მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობისათვის მიიმართება 129,0 ათ. ლარი.

**ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები** პროექტით გათვალისწინებულია 130,0 ათ. ლარი, აღნიშნული თანხა გაიცემა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის ცენტრის მომსახურეობისათვის, რომელიც ფინანსდება დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერით.

**სოციალური დაცვის პროგრამებისათვის** გათვალისწინებულია 448,7 ათ. ლარი.

ქვეპროგრამების დაფინანსება განისაზღვრა დახმარების გაცემის დროებითი წესის შესაბამისად შემდეგ პროგრამებზე:

**06 02 01** - ბიკარბონატული ჰემოდიალიზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა- 36,3 ათ.ლარი;

**06 02 04** - მრავალშვილიანთა დახმარების პროგრამა - 37,2 ათ. ლარი;

**06 02 09**- ბავშვთა დღის ცენტრის თანადაფინანსება- 10,0 ათ. ლარი;

**06 02 10** - მაღალმთიან სოფლებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების მომსახურების პროგრამა 5,4 ათ.ლარი

**06 02 11 01** - მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვების უზრუნველყოფის პროგრამა- 100,0 ათ. ლარი;

**06 02 11 02** - იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა- 12,8 ათ. ლარი;

**06 02 11 03** - სხვადასხვა ომებსა და კონფლიქტებში მონაწილე ვეტერანთა დახმარების პროგრამა - 50,0 ათ. ლარი;

**06 02 11 05**- მიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარებისა და დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა - 176,0 ათ. ლარი;

**06 02 14** - გამარჯვებულ ქალთა კლუბის სარეაბილიტაციო პროგრამა- 20,0 ათ ლარი

**06 02 15** - ხანდაზმულ პირთა დახმარების პროგრამა 1,0 ათ.ლარი

**განათლების პროგრამები** - დაგეგმილია 2054,0 ათ. ლარით.

პროგრამის ფარგლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი აფინანსებს საბავშვო ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს, ბავშვთა კვებას და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.

**კულტურის პროგრამები** წარმოდგენილია 1180,0 ათ. ლარის ოდენობით, რომელიც მიმართული იქნება შემდეგზე: კულტურის ცენტრის, ბიბლიოთეკების, მუზეუმების, სახელოვნებო სკოლების და სოც. კულტურული ღონისძიებებზე.

**სპორტული პროგრამებისათვის** გათვალისწინებულია 780,0 ათ. ლარი, რომელიც მიმართული იქნება: სპორტული ცენტრის, საფეხბურთო სკოლების დაფინანსებაზე.

**2016 წლის ბიუჯეტში სარეზერვო ფონდი** განისაზღვრა 30,0 ათ. ლარით, ბიუჯეტის ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისად:სარეზერვო ფონდის გამოყენება განისაზღვრება მხოლოდ იმ განსაკუთრებული შემთხვევებისათვის რომლებიც ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული.

დეპუტატი დარეჯან ბურჭულაძე დაინტერესდა თუ რატომ მოხდა ა(ა)იპ „საგარეო-ეკონომიკური კავშირთა დარეჯან ბურჭულაძის ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმისა და მეწარმეობის განვითარების ცენტრის“ თვის 19 % იანი კლება მაშინ, როცა დანარჩენ აიპებს ზოგს მიემატა ზოგსაც მიზერულად შეუმცირდა. მან ასევე აღნიშნა, რომ ქვეყნის ერთერთი პრიორიტეტი ტურიზმი, მაგრამ მუნიციპალიტეტში ეს პრიორიტეტი არ ჩანს. 19% იანი კლებით გამოდის, ეს სამსახური მხოლოდ სახელფასოზე იქნება აგებული და საქმის შესასრულებლად თანხა არ ექნება. დეპუტატისთვის გაუგებარია ვის უნდა შეუმცირდეს ხელფასები, როცა ისედაც მიზერულ თანხებს იღებენ ან კიდევ ვინ უნდა გაუშვან სახლში, როცა ქვეყანაში მიმე ეკონომიკურ პირობებია, მაშინ როდესაც ქალაქში არ არის ფაბრიკა ქარხანა ან ისეთი დაწესებულება, სადაც შესაძლებელი იქნება მუშაობა. მისი აზრით მოქალაქეს უნდა ქონდეს არჩევანის უფლება სად იმუშავოს, მისთვის გაუგებარია რამდენად გამართლებულია რეფორმა ასეთ სიტუაციაში მაშინ, როცა უმძიმესი ეკონომიური მდგომარეობაა ქვეყანაში.

ნონა მურვანიძემ აღნიშნა, რომ როცა სათავეში მოვიდა ახალი ხელისუფლება მაშინვე უნდა განეხორციელებინათ რეფორმა, რაც მუნიციპალიტეტს ასეთ უკიდურეს მდგომარეობამდე არ მიიყვანდა. მისი თქმით პირველი პირის არასწირო მენეჯმენტის ბრალია.

დეპუტატმა დარეჯან ბურჭულაძემ აღნიშნა, რომ რეფორმა უნდა მოხდეს გააზრებულად და არა ხელაღებით.

როლანდ ლაშხიამ აღნიშნა, რომ ა (ა)იპ-ებში სტრუქტურა დაულაგებელია. მან აღნიშნა, რომ შემცირებები ზოგ ა(ა)იპ-ში შეიძლება იყოს 5 პროცენტი, ზოგიერთში 25 % ეს ძირითადად მიდგომაზეა დამოკიდებული თუ რა დონეზე ჭირდება მუნიციპალიტეტს მისი ფუნქციონირება.

დეპუტატმა ელისო ჭიჭინაძემ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტში მოუგვარებელია ტრანსპორტის საკითხი. არსებობს კერძო პირი, რომელიც აპირებდა ტრანსპორტირების მოგვარებას, მაგრამ მას ამის საშუალება არ მიეცა.

ფრაქციის თავმჯდომარემ ნონა მურვანიძემ აღნიშნა, რომ გამგებელი სამსახურებთან ერთად უნდა იხილავდეს ა(ა)იპ-ების ბიუჯეტს. მისი აზრით, არ შეიძლება ბიუჯეტის 90% იქნას მიმართული მხოლოდ სახელფასო კუთხით.

**ფრაქციამ მიიღო გადაწყვეტილება:**

**დადგენილების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ არ იქნა მხარდაჭერილი.**

**დღის წესრიგის მესამე საკითხზე** „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო **გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა თამარ ფირცხალაიშვილმა**. მან აღნიშნა, რომ სამსახურის მიერ მომზადდა ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის სოციალური პროგრამების პროექტი. სულ წარმოდგენილია 12 პროგრამა. ეს პროგრამებია:

1. მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა. პროგრამის მიზანს წარმოადგენს ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები და რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი მოხუცების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დღეში ერთჯერადი კვება უფასო სასადილოში პროგრამით ისარგებლებს 98 ბენეფიციარი;
2. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა. პროგრამის მიზანია მრავალშვილიანი ოჯახების ფინანსური ხელშეწყობა რაც აუშუქობს დემოგრაფიულ მდომარეობას. პროგრამით მიმდინარე წელს სარგებლობს 29 ოჯახი.
3. მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა პროგრამის მიზანია ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები და რეგისტრირებული, ხანძრისა და მწყერისაგან დაზარალებული, ასევე საცხოვრებლად უვარგისი სახლების მქონე ოჯახების დახმარება. ბენეფიციარებზე ბინის ქირის გადახდა. პროგრამით მიმდინარე წელს სარგებლობს 33 ბენეფიციარი.
4. სხვადასხვა ომებსა და კონფლიქტებში მონაწილე ვეტერანთა დახმარების პროგრამა; პროგრამის მიზანია სხვადასხვა ომებსა და კონფლიქტებში მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარება. პროგრამით ისარგებლებს 60 ბენეფიციარი.
5. მაღალმთიანი სოფლებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა. პროგრამის მიზანია მაღალმთიანი სოფლებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების ხელშეწყობა. პროგრამით სარგებლობს ერთი სკოლა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზია. პროგრამა ხელს უწყობს ბავშვების ჯანმრთელობასა და განათლების სრულფასოვნად მიღებას ( 29 მოსწავლე).
6. ცენტრ „იავნანას“ თანადაფინანსების პროგრამა; პროგრამის მიზანია ლანჩუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ცენტრ იავნანაში დარეგისტრირებული, სოციალურად დაუცველი 24 ბავშვის ფსოქო-სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობა. პროგრამა ნაწილობრივ ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ცენტრს დამატებით ესაჭიროება კომუნალური და მიმდინარე ხარჯების დაფინანსება. წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული იქნება ელექტროენერჯის, ბუნებრივი აირის და გადასახადები, ასევე დაფინანსდება ცენტრისათვის ყოველთვიურად ჰიგიენისა და ყოველდღიური მოხმარების საგნების ღირებულება.
7. ბიკარბონატული ჰემოდიალიზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა. პროგრამის მიზანია თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა ტრანსპორტირების დაფინანსება ჰემოდიალიზის ჩასატარებლად. პროგრამით მიმდინარე წელს სარგებლობს 21 ბენეფიციარი.
8. იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა. პროგრამის მიზანია იძულებით გადაადგილებულ პირთა ფინანსური დახმარება. ოჯახები რომლებიც რეგისტრირებული არიან ლანჩუთის მუნიციპალიტეტში ერთჯერადად საშუა მერქნის შესაძენად მიიღებენ ფინანსურ დახმარებას. ლანჩუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 64 ოჯახი.



9. სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა. პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები და რეგისტრირებული მოქალაქეების სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარება. გეგმიური და გადაუდებელი სტაციონალურ-ამბულატორიული მომსახურება და ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევების სადაზღვევო პროგრამით დაუფინანსებელი თანხის თანადაფინანსება.

10. მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამა. პროგრამის მიზანია ბენეფიციარზე ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევა. ამავე პროგრამის ფარგლებში შერჩეულ ბენეფიციარს დახმარება გაეწევა ავარიულ მდგომარეობაში არსებული და სტიქიით დაზიანებული საცხოვრებელი სახლის მოწესრიგებაში.

11. ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ სარეაბილიტაციო პროგრამა ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალებისათვის. პროგრამის მიზანია ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალების რეაბილიტაცია და მხარდაჭერა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნაადრევ ეტაპზე კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალების მხარდაჭერას მათი შემდგომი რეაბილიტაციის მიზნით. პროგრამა ითვალისწინებს სარეაბილიტაციო ვარჯიშების ტრენინგს, ფსიქოლოგიურ ტრენინგს, მონაწილეობას მხარდამჭერ საინფორმაციო - საგანმანათლებლო ღონისძიებებში, სხვადასხვა კულტურული ღონისძიებებში.

12. ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა.

პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები და რეგისტრირებული 100 და მეტი წლის ასაკის გადაცილებული ხანდაზმულების ერთჯერადად დახმარება. მუნიციპალიტეტში ასეთი სულ 4 ხანდაზმულია.

ფრაქციის თავმჯდომარე ნონა მურვანიძე დაინტერესდა მოხდა თუ არა სოციალურ პროგრამაში ფრაქციის მიერ ინიცირებული პროექტის გათვალისწინება, ისე როგორც ფრაქციის წევრებს ქონდათ დაფიქსირებული, რაზეც თამარ ფირცხალაიშვილმა განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები და რეგისტრირებული ბენეფიციარები, რომელთაც ესაჭიროება ოპერაციული ჩარევა და სადაზღვევოს მიერ არ უნაზღაურდება, ან მკურნალობის თანხა უნაზღაურდება ნაწილობრივ, სამედიცინო დაწესებულების ანგარიშზე ჩაერიცხება წარმოდგენილი ღირებულების 50%, მაგრამ არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობისა. მან ასევე აღნიშნა, რომ „ც“ ჰეპატიტი მთლიანობაში 100 ადამიანს დაუდგინდა. სახელმწიფო პროგრამიდან უფინანსდებათ 70 %-ი, დანარჩენი აუნაზღაურდება აღნიშნული პროგრამით. საშუალოდ გამოდის 250 ლარი და ამ პროგრამაზე გამოყოფილი 10 000 ლარით სოციალური სამსახური მოემსახურება დაახლოებით 40 ბენეფიციარს. ფრაქციის თავმჯდომარემ ნონა მურვანიძემ აღნიშნა, რომ ინიცირებული პროექტით კარგი საქმე გაკეთდა. ფრაქცია დაეხმარა ბიუჯეტს, რათა უკეთესი გამხდარიყო. მისი თქმით ბიუჯეტის შედგენამდე უამრავი ინიციატივა უნდა შემოვიდეს, რათა მოხდეს ბიუჯეტში მისი გათვალისწინება. არა აქვს მნიშვნელობა თუ ვის მიერ იქნება შემოტანილი პროექტი, მთავარია იყოს კონსტრუქციული, საღი და მართვადი.

**ფრაქციამ მიიღო გადაწყვეტილება:**

**განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.**

**ფრაქციის თავმჯდომარემ ნონა მურვანიძე კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:**

**მომხრე 3,წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა თამარ ფირცხალაიშვილმა მან აღნიშნა რომ სამსახურის მიერ მოზადდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების პროექტი. სულ წარმოდგენილია 9 პროგრამა. ეს პროგრამებია:**

1. საჩუქრებისა და პრიზების შეძენის პროგრამა. პროგრამის მიზანს წარმოადგენს სხვადასხვა სახის ღონისძიებებზე და სადღესასწაულო დღეებზე ლანჩხუთელი სპორტსმენებისა და ახალგაზრდების წარმატების წახალისება სხვადასხვა პრიზითა თუ ფასიანი საჩუქრით.

2. ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსების პროგრამა. პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტის ფინანსური მხარდაჭერა თანადაფინანსებით.

3. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაციის პროგრამა. პროგრამის მიზანია შ.შ.მ. ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაცია. მათში სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია. ნიჭიერი ახალგაზრდების მოტივირება. არაფორმალური განათლების მიღება, სპეციალური გადამზადება და შემეცნებითი აქტივობები.

4. სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ჩატარების პროგრამა. პროგრამის მიზანია მოსწავლე ახალგაზრდობის სპორტში მასობრივი ჩართვა და სასკოლო სპორტის განვითარების ხელშეწყობა, მოზარდ თაობაში და საზოგადოებაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება.

5. წარმატებული სპორტსმენებისა და მწვრთნელების წახალისების პროგრამა. პროგრამის მიზანია ყველა წარმატებული სპორტსმენებისა და მწვრთნელების წახალისება ფულადი დაჯილდოთი, რაც ხელს შეუწყობს სპორტის ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, ახალგაზრდა სპორტსმენებში მოტივაციის გაზრდას, იყვნენ წარმატებულები.

6. შემოქმედთა წახალისების პროგრამა. პროგრამის მიზანია სხვადასხვა სახის კულტურულ-საგანმანათლებლო და შემეცნებით ღონისძიებებზე და სადღესასწაულო დღეებზე მოსწავლე-ახალგაზრდებისა და შემოქმედთა წარმატებების წახალისება, მათ შორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იმ ახალგაზრდებისა, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების გათვალისწინებით მიიღებენ სახელმწიფო 100% გრანტს. ასევე წარმატებული ახალგაზრდების წახალისება ფულადი დაჯილდოთი, სხვადასხვა პრიზითა თუ ფასიანი საჩუქრით.

7. ტრანსპორტირებით დახმარების პროგრამა. პროგრამის მიზანია მოქალაქეთა კულტურულ-საგანმანათლებლო და შემეცნებით ღონისძიებებში მონაწილეობისათვის ტრანსპორტირებით ხელშეწყობა.

8. კულტურულ-საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტების თანადაფინანსების პროგრამა. პროგრამის მიზანია მოქალაქეთა კულტურულ-საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტების განხორციელების ხელშეწყობა თანადაფინანსების გზით.

9. სოც-კულტურული ღონისძიებების ორგანიზების პროგრამა. პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ სხვადასხვა ღირსშესანიშნავი თარიღის აღსანიშნავი ღონისძიებების გამართვა.

სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია 2017 წელში წარმოდგენილი 9 პროგრამის დამტკიცება.

სამსახურის მიერ მომზადდა ასევე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესი.

წარმოგიდგენთ:

ა) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს;

ბ) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს;

გ) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს;

დეპუტატი დარეჯან ბურჭულაძე დაინტერესდა მომავალი წლისათვის რომელი პროგრამები იქნა ამოღებული, რაზეც თამარ ფირცხალაიშვილმა განმარტა, რომ ფესტივალებზე და კონკურსებზე სამონაწილეო თანხის თანადაფინანსების პროგრამამ არ იმუშავა, რის გამოც იქნა ამოღებული.

დეპუტატი ელისო ჭიჭინაძე დაინტერესდა თუ რას ნიშნავდა ვერ იმუშავა, რაზეც სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ სოციალური სამსახურის მიერ გაკეთდა ყველაფერი, მაგრამ ხაზინამ არ გაატარა, შეიქმნა პრობლემები, რის გამოც აღნიშნული პროგრამა იქნა ამოღებული. ასევე ამოღებული იქნა სასკოლო სპარტაკიადა, სანაცვლოდ სასკოლო სპორტული ოლიმპიადა ჩაისვა, სადაც ასაკი არის განსაზღვრული.

დეპუტატი დარეჯან ბურჭულაძე დაინტერესდა ქირავნობის პროგრამით თუ რამდენი ადამიანი სარგებლობდა, რაზეც სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ 33 კაცი სარგებლობს და 40 000 ლარია გამოყოფილი. ფრაქციის თავმჯდომარე ნონა მურვანიძე დაინტერესდა ჩასმულია თუ არა ქირურგებისთვის საცხოვრებელი სახლის ქირავნობის პროგრამა.

დეპუტატი ელისო ჭიჭინაძე დაინტერესდა თუ რატომ აქვს შეზღუდვა ზოგიერთ ექიმს?

ფრაქციის თავმჯდომარემ ნონა მურვანიძემ აღნიშნა, რომ რა მნიშვნელობა აქვს ქირურგი სად მუშაობს, რატომ ხდება, რომ ზოგიერთ ქირურგს უნაზღაურდება საცხოვრებელი სახლის თანხა და ზოგს არა, რაზეც თამარ ფირცხალაიშვილმა განმარტა, რომ როცა პროგრამა შემუშავდა არ იყო ქირურგები საავადმყოფოში, ხოლო 2017 წლის ბიუჯეტში აღარაა გათვალისწინებული ქირურგთა საცხოვრებელი ბინის ქირავნობის პროგრამა.

ფრაქციამ მიიღო გადაწყვეტილება:

განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გათვალისწინებით.

ფრაქციის თავმჯდომარემ ნონა მურვანიძე კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე 3,წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე ფრაქცია „მეტი ქალი პოლიტიკაში“წევრის ომარ გოგიჩაიშვილის განცხადება ფრაქციის სხდომას გააცნო ფრაქციის თავმჯდომარემ ნონა მურვანიძემ. მან აღნიშნა, რომ დეპუტატი ომარ გოგიჩაიშვილი ტოვებს ფრაქციას.

ფრაქციამ მიიღო გადაწყვეტილება:

განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

ფრაქციის თავმჯდომარემ ნონა მურვანიძე კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე 3,წინააღმდეგი არცერთი.

ამით ფრაქციის სხდომამ მუშაობა დაასრულა.




ფრაქცია „მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარე:



ნონა მურვანიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია "მეტი ქალი პოლიტიკაში" წევრთა  
დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

21 დეკემბერი 2016 წელი  
10.00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ნონა მურვანიძე	10 <sup>00</sup>	
2	დარეჯან ბურჭულაძე	10 <sup>00</sup>	
3	ელისო ჭიჭინაძე	10 <sup>00</sup>	
4	ომარ გოგიჩაიშვილი		